საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №770
2021 წლის 3 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„სპეციალური პენიტენციური სამსახურისადმი დაქვემდებარებული პენიტენციური დაწესებულებებისა და სხვა ობიექტების დაცვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 26 იანვრის №675 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სპეციალური პენიტენციური სამსახურისადმი დაქვემდებარებული პენიტენციური დაწესებულებებისა და სხვა ობიექტების დაცვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 26 იანვრის №675 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 27/01/2021, სარეგისტრაციო კოდი: 100110000.22.027.017168) დამტკიცებული ინსტრუქციის 48-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. თუ ამანათის მიღება-შემოწმება დაკავშირებულია განსაკუთრებულ სირთულესთან და საჭიროებს სპეციფიკურ ცოდნას, სამსახური უფლებამოსილია სათანადო დახმარების მიღების მიზნით მიმართოს სხვა სახელმწიფო დაწესებულებას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 4 ოქტომბრიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**